საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის

დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის

დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე
2017 წლის 15 დეკემბერი ოქმი N21

მუხლი 1. ქორეოგრაფიული დეპარტამენტის სტატუსი

1.1 ქორეოგრაფიული დეპარტამენტი არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული (ქვედანაყოფი).

მუხლი 2. ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ფუნქცია და ამოცანები

2.1 საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართული ქორეო-კულტურისა და სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაცია. მასთან დაკავშირებული წინადადებებისა და რეკომენდაციების ინიცირება, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე;

2.2 ქორეოგრაფიული მიმართულების სემინარების, კონფერენციების, მასტერკლასების, ტრენინგების, ექსპედიციების, ფესტივალების ორგანიზება და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება; ადგილობრივ და საერთაშორისო სახელოვნებო პროექტებში (სემინარები, კონფერენციები, მასტერკლასები, ტრენინგები, ექსპედიციები, ფესტივალები) ქორეოგრაფიული მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა;

2.3 ადგილობრივ საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა ქორეოგრაფიული განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიზნით;

2.4 პოტენციურ დამსაქმებლებთან (ანსამბლები, სტუდიები, სასწავლებლები) ურთიერთობა.

მუხლი 3. ქორეოგრაფიული დეპარტამენტის სტრუქტურა

3.1 ქორეოგრაფიულ დეპარტამენტში შედიან: დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქორეოგრაფიის დარგობრივი საბჭო, ქორეოგრაფიული ანსამბლი.

მუხლი 4. ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

4.1 ქორეოგრაფიული დეპარტამენტის მართვას ახორციელებს ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც მიმართულების ლიდერის წარდგინებით ამტკიცებს დარგობრივი საბჭო.

4.2 დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
ა. უზრუნველყოფს დეპარტამენტის მუშაობის ორგანიზებას;
ბ. შეიმუშავებს დეპარტამენტის განვითარებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციებს;
გ. საჭიროებიდან გამომდინარე იწვევს და ხელმძღვანელობს ქორეოგრაფიული დეპარტამენტის დარგობრივი საბჭოს სხდომას.
დ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 5. ქორეოგრაფიის დარგობრივი საბჭო

5.1 ქორეოგრაფიის დარგობრივ საბჭოში შედის ქორეოგრაფიული მიმართულების აკადემიური პერსონალი, მასწავლებლები და მოწვეული სპეციალისტები;

5.2 სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

5.3 საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი;

5.4 საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი;

5.5 გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

5.6 დარგობრივ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საბჭოზე წარადგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

5.7 დარგობრივ საბჭოს შეაქვს ცვლილებები დეპარტამენტის დებულებაში, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლ 6. ქორეოგრაფიული ანსამბლი

6.1 ქორეოგრაფიული დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის, როგორც ქორეოგრაფიული, ასევე, სხვა მიმართულებების სტუდენტებისაგან;

6.2 ქორეოგრაფიული ანსამბლის შემოქმედებით-ადმინისტრაციული პერსონალია: მენეჯერი, სამხატვრო ხელმძღვანელი/მთავარი ქორეოგრაფი, ქორეოგრაფ-რეპეტიტორი, აკომპანიატორები, გარდერობის ადმინისტრატორი;

6.3 უნივერსიტეტის სახელით ანსამბლი იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებში;

6.4 უნივერსიტეტის სახელით ანსამბლი მონაწილეობს საგასტროლო მოგზაურობებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.